სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

03 ნოემბერი, 2023 წ.

ბრძანება N 01-02/202

,,2023 წლის ნოემბერ-დეკემბერში განსახორციელებელი ბსუ-ს სტუდენტური საგანმანათლებლო, კულტურულ-შემოქმედებითი და სპორტული სახის პროექტების მიღების გამოცხადების შესახებ'' ბსუ-ს რექტორის 2023 წლის 20 ოქტომბრის №01-02/196 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, ბსუ-ს წესდების მე–15 მუხლის, ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტური პროექტების დაფინანსების წესის დამტკიცების თაობაზე" ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2018 წლის 26 მარტის N02 გადაწყვეტილების, ,,ბსუ-ს რექტორის მივლინების შესახებ'' ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2023 წლის 01 ნოემბრის №01-14/593 ბრძანების, ,,2023 წლის ნოემბერ-დეკემბერში ბსუ-ში განსახორციელებელი სტუდენტური საგანმანათლებლო, კულტურულ-შემოქმედებითი და სპორტული სახის პროექტების გამოვლენის, განხილვისა და დაფინანსების შესახებ გადაწყვეტილების მიღების მიზნით საკონკურსო კომისიის შექმნის შესახებ'' **ბსუ-ს რექტორის 2023 წლის 01 ნოემბრის №01-02/200 ბრძანების** და ამავე ბრძანებით შექმნილი საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის, ბსუ-ს რექტორის მოადგილის 2023 წლის 02 ნოემბრის №1485497 სამსახურებრივი ბარათისა და ბსუ-ს სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტის უფროსის 2023 წლის 03 ნოემბრის №1492961 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ,,2023 წლის ნოემბერ-დეკემბერში განსახორციელებელი ბსუ-ს სტუდენტური საგანმანათლებლო, კულტურულ-შემოქმედებითი და სპორტული სახის პროექტების მიღების გამოცხადების შესახებ'' **ბსუ-ს რექტორის 2023 წლის 20 ოქტომბრის №01-02/196 ბრძანებაში შევიდეს ცვლილება, კერძოდ, პირველ პუნქტის ,,ბ'' ,,გ'' და ,,დ'' პუნქტები** ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,ბ) საკონკურსო კომისიის მიერ პროექტების შეფასება - **2023 წლის 01 ნოემბრიდან - 03 ნოემბრის ჩათვლით;**

გ) პროექტების შეფასების შედეგების გამოცხადება ბსუ-ს ვებგვერდზე - **2023 წლის 06 ნოემბრის ჩათვლით;**'';

დ) გამარჯვებული პროექტების განხორციელების პერიოდი - **2023 წლის 07 ნოემბრიდან 2023 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.**''

2. წინამდებარე ბრძანება ბსუ-ს საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურის მიერ განთავსდეს ბსუ-ს ვებგვერდზე (ველი - კონკურსები; იურიდიული ცნობარი).

3. ბრძანება გასაცნობად და აღსასრულებლად დაეგზავნოს რექტორის მოადგილეებს, ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, ბსუ-ს ფაკულტეტებს, სტუდენტთა კარიერული

განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, იურიდიულ დეპარტამენტს.
4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის №30).

რექტორის მოადგილე, პროფესორი
რექტორის მოვალეობის შემსრულებელი **ანზორ ბერიძე**